საქართველოს მთავრობის

დადგენილება №600

2016 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

## ტექნიკური რეგლამენტის – ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – „ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესი“.

მუხლი 2

დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-16 – მე-18, მე-60, 69-ე, 78-ე – 84-ე მუხლებისა, ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 3

ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-16 – მე-18, მე-60, 69-ე, 78-ე – 84-ე მუხლები ამოქმედდეს 2027 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 4

დადგენილების მე-2 მუხლის მოქმედება შეჩერდეს 2027 წლის პირველ იანვრამდე.

*საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №450 – ვებგვერდი, 06.09.2022წ.*

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი